ოქმი #6

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 20 ივნისის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების განხილვა და არჩევნებისთვის კენჭისყრის დღის დანიშვნა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად 2022 წლის 1 ივნისს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოსულია თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე მესხის განცხადება.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა ა. მესხის განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ა. მესხის კანდიდატურა აკმაყოფილებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი # 3) დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის“ მიხედვით საჭიროა დაინიშნოს კენჭისყრის დღე ზემოთ ხსენებული კონკურსისთვის.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულ იქნეს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე მესხის კანდიდატურა;

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებული კონკურსისთვის კენჭისყრის დღედ განისაზღვროს 2022 წლის 22 ივნისი, 15:00 სთ.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე